საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №61/04
2020 წლის 31 მარტი

ქ. თბილისი

„პირების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პირების მიმართ, ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 17/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 220010020.18.011.016067) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების და/ან მათი მმართველი ორგანოს წევრის მიმართ გამოიყენოს ამ წესით დადგენილი ფულადი ჯარიმები, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილემ და/ან მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრმა დაარღვია ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, ეროვნული ბანკის ინსტრუქცია, დებულება, წესი, მოთხოვნები და/ან წერილობითი მითითებები, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. “.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული წლიური ანგარიშის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ან/და დადგენილი წესით/ფორმით წარუდგენლობა ან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგებების ამავე კანონით დადგენილ ვადაში ან/და დადგენილი წესით/ფორმით წარუდგენლობა გამოიწვევს საწარმოს დაჯარიმებას, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზომითი კატეგორიისა და საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (შემდგომში – სდპ) სტატუსის შესაბამისად:

ა) მეოთხე კატეგორიის საწარმოსი – 500 ლარის (ხუთასი) ოდენობით;

ბ) მესამე კატეგორიის საწარმოსი – 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით;

გ) მეორე კატეგორიის საწარმოსი – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

დ) პირველი კატეგორიის საწარმოსი და სდპ-ისა –10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) საწარმოსი (მიუხედავად ზომითი კატეგორიისა), რომელსაც ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული

ემისიის პროსპექტის საფუძველზე განთავსებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით (მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული წლიური ანგარიშის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ან/და დადგენილი წესით/ფორმით წარუდგენლობის შემთხვევაში)“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნათა განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საწარმოს მიმართ გამოიყენოს დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა.

3^2. ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ნახევარ-წლიური და მიმდინარე ანგარიშის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ან/და დადგენილი წესით/ფორმით წარუდგენლობა, გამოიწვევს ანგარიშვალდებული საწარმოს დაჯარიმებას 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.“;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**